



საქართველოს იურიდიული პირი
სოციალური მომსახურების სააგენტო
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030418184716716

№ 04-236/ა

17 / მაისი / 2016 წ.

„ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ სააგენტოს დირექტორის 2016 წლის 19 თებერვლის N04-72/ა ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 დეკემბრის N660 დადგენილებით დამტკიცებული „2016 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების“ მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, „სოფლის ექიმის“ სახელმწიფო პროგრამის „პირველადი ჯანდაცვის მომსახურება სოფლად“ კომპონენტის ფარგლებში, კომპონენტის შესაბამისი საანგარიშგებო ფორმების (დანართი N15 და N23), „ნარკომანიით დაავადებულ პაციენტთა მკურნალობის“ სახელმწიფო პროგრამის „სტაციონარული დეტოქსიკაციისა და პირველადი რეაბილიტაციის“ და „ჩანაცვლებითი თერაპიის განხორციელების და ჩამანაცვლებელი ფარმაცევტული პროდუქტის მიწოდების“ ეფექტურობის შეფასების კომპონენტის ფარგლებში, ერთიანი სტატისტიკური ინფორმაციის ფორმის (დანართი N33) და დანართი N22 (ინსტრუქცია) დაზუსტების მიზნით, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2016 წლის 20 აპრილის N01/32032 (N04/30060; 13.04.2016 წ.) წერილის გათვალისწინებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 ივნისის N190/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების“ მე-4 მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. „2016 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ სააგენტოს დირექტორის 2016 წლის 19 თებერვლის N04-72/ა ბრძანებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:
 - ა) ბრძანების პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დამტკიცებული N15, N23 და N33 დანართები შეიცვალოს ამ ბრძანებაზე თანდართული იგივე ნომრის მქონე დანართებით (დანართი N15, დანართი N23 და დანართი N33);
 - ბ) ბრძანების პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული N22 დანართი (ინსტრუქცია), შეიცვალოს ამ ბრძანებაზე თანდართული იგივე ნომრის მქონე დანართით (დანართი N22);
2. ამ ბრძანებით დამტკიცებული N15, N23 და N33 ფორმებით ანგარიშგება მიმწოდებლების მხრიდან განხორციელდეს 2016 წლის 1 ივნისიდან გაწეულ მომსახურებაზე.
3. სააგენტოს დირექტორის აპარატმა (ნ. ჩანადირი), უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანებისა და მისი დანართების განთავსება სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე – www.ssa.gov.ge.
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს
დირექტორი, საქართველოს შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
მინისტრის მოადგილე



ზაზა სოფროვაძე